

ნინო ეჯიბაძე
Nino Ejibadze

VIII თემა არაბულში – მდგრადი თანხმოვნის ინფიქსაცია?
Form VIII in Arabic – Infixation of a Stable Consonant?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: *აზბუდი, გრამატიკა, დერივატიული სისტემა.*
Key words: *Arabic, grammar, derivative system.*

არაბული ენის მორფოლოგიაში დერივაციულ თემათა სისტემა იკავებს ღერძულ, საკვანძო პოზიციას. წარმოების ტიპების მიხედვით აქ შეიძლება გარკვეულ დაჯგუფებათა გამოყოფა.

უფრო დეტალურად:

წარმოები თემების ფორმირებაში ფუნქციონირებს ხმოვნითი მოდელების სხვადასხვა ტიპი, რომლებშიც მუდმივია ხმოვნები და მათი თანმიმდევრობა [დასაშვებია ხმოვანთა სიგრძის ვარირება; იხ.: ეჯიბაძე 2023:236]:

თემა	პერფ. აქტ.	პერფ. პას.	იმპერფ. აქტ.	იმპერფ. პას.
პირველი ტიპი				
II	-a-a-	-u-i-	yu-a-i-	yu-a-a-
III	-ā-a-	-ū-i-	yu-ā-i-	yu-ā-a-
IV	a--a-	-u--i-	yu - -i-	yu- -a-
მეორე ტიპი				
V	-a-a-a-	-u-u-i-	ya-a-a-a-	yu-a-a-a-
VI	-a-ā-a-	-u-ū-i-	ya-a-ā-a-	yu-a-ā-a-
მესამე ტიპი				
VII	i-a-a-	u-u-i-	ya-a-i-	yu-a-a-
VIII	i-a-a-	u-u-i-	u-u-i-	yu-a-a-
IX	i-a-a-	u- -i-	ya- -a-	yu- -a-
X	i-a-a-	u-u-i-	ya-a-i-	yu-a-a-

მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი სქემა არის თემათა წარმოების ერთი მხარე.

გარდა ამ, ტრანსფიქსული ხასიათის, ხმოვნითი მოდელებისა, თემათა ფორმირებაში მონაწილეობას იღებს ასევე თანხმოვნითი ელემენტებით წარმოდგენილი აფიქსაცია. ეს აფიქსაცია დიდწილად განაპირობებს თემათა შინაარსობრივ ელფერს; ამ შინაარსობრივი ელფერის გადმოცემისთვის ხმოვნებს, რომლებიც შეიძლება ახლდეს ამ თანხმოვნებს, არ აქვთ მნიშვნელობა [ეჯიბაძე 2023: 235], ძირითადი სემანტიკური დატვირთვა მოდის თანხმოვნებზე. ეს აფიქსებია: ფორმანტები t, n, რომლებიც განაპირობებენ უკუქცევითი მნიშვნელობის გამოხატვას არა მხოლოდ არაბულში, არამედ სემიტურში ზოგადად [მდრ Гранде 1963:137]; ფორმანტი s და მისი შემდგომი რედუქციის პროდუქტი ჰამზა, რომლებიც გამოხატავენ კაუზალურ შინაარსს. ყველა ეს ფორმანტი არის ცნობილი ჯერ კიდევ პრეკლასიკური პერიოდიდან და პრეფიქსურია.

უფრო დეტალურად:

V და VI თემებს აწარმოებს პრეფიქსი t-, რომელსაც სალიტერატურო ენაში მოსდევს ხმოვანი -a- (tafa‘‘al^a, tafa‘al^a), ხოლო დიალექტებში – წინ უსწრებს ხმოვნები -i ან e-, ხოლო ზოგჯერ სულაც უხმოვნოდ არის წარმოდგენილი (itfaddal/etfaddal/tfaddal „ინებე“). ყველა ასეთი ფორმა ერთმანეთის მიმართ არის ფუნქციურად იდენტური და მხოლოდ სოციოლინგვისტური ხასიათის განსხვავებას გვაძლევს. ეს ხმოვნები ემსახურებიან წარმოთქმის გამარტივებას, იმ რეალობას, რომ არაბულს (სემიტურს) ურჩევნია, თუ სიტყვა იწყება CV- ან VC- კომპლექსით (და არა – CC- კომპლექსით).

VII თემაში გვაქვს უკუქცევითი მნიშვნელობის პრეფიქსი *n-*, რომელსაც წინ უსწრებს *i-* (იმავე პროთეტული ფუნქციით): *inkasar^a* „გატყდა“. სხვათა შორის, ფაქტს, რომ რეალურად შინაარსობრივი ფუნქციური დატვირთვის მქონეა მხოლოდ თანხმონიითი ელემენტი, ადასტურებს ისიც, რომ ასეთი ხმოვანი ყოველთვის ჩავარდება („გადავა“ *wasla*-ში), თუკი მას წინ ხმოვანი უძღვის: *fa-nkasar^a* „და გატყდა“.

X თემაში გვაქვს ერთდროულად ორი პრეფიქსი: *s-* და *t-*. ამათგან *s* თავისი წარმოშობით არის პრეკლასიკური $\text{š} > s$. სხვა სიტყვებით, ჩვენთვის დღეს ცნობილი *istaf'al^a* პრეკლასიკურ ხანაში *tašafa'al^a* ფორმით ფუნქციონირებდა [შდრ Юшманов 2017:24]: *tašafa'al^a > tasafa'al^a*; ამის შემდეგ მოხდა მეტათეზისი: *tasafa'al^a > satafa'al^a*. რადგანაც *sa-* და *is-* პრეფიქსები ფუნქციურად იდენტურია (იხ. ზემოთ), სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა ერთ-ერთი მათგანი, ფორმით *is-*: *istaf'al^a*.

IV თემის მანარმოებელია ჩვენთვის სალიტერატურო ენიდან ცნობილი *'a-* პრეფიქსი, რომელშიც ძირითადი თანხმონიითი ელემენტი ასევე კაუზალური š(a) -ს რედუქციის შემდგომი საფეხურია: $\text{š} > s > h > \text{ჰამზა}$: *šafa'al^a > safa'al^a > hafa'al^a > 'afa'al^a > 'af'al^a* [შდრ Юшманов 2017:24].

II და III თემები, როგორც ცნობილია, იწარმოება ამგვარი ფორმანტების გარეშე: *R₂*-ის გემინაციით (გაძლიერებით; *fa''al^a*) და *R₁*-ის ხმოვნის დაგრძელებით (*fā'al^a*).

გამოდის, რომ ძირითად ნაწარმოებ თემათაგან პრეფიქსული ხერხითაა ფორმირებული თანხმონიითი ფორმანტით ნაწარმოები ყველა თემა, გარდა VIII თემისა, რომელშიც გვაქვს ინფიქსაცია: *if-t-a'al^a*.

ზოგადად, არაბულში ინფიქსური წარმოება შესაძლებელია; სწორედ ასე იწარმოება XII, XIII, XIV და XV თემები: XII- *if'aw'al^a*, XIII- *if'awwal^a*, XIV- *if'anlal^a*, XV- *if'anlā*. ამ თემებში ინფიქსებად გამოდიან თანხმონენები *w* და *n*.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ არაბულში ფუნქციონირებს თანხმონთანა ერთი ჯგუფი, რომლებსაც შეიძლება პირობითად „ამორფული“ თანხმონენები ვუწოდოთ: ესენია „სუსტი“ თანხმონენები *w*, *y*, ასევე ჰამზა, *n*, *h*. ეს თანხმონენები ადვილად ჩაენაცვლებიან, ადვილად ამოვარდებიან სიტყვის შედგენილობიდან ან ადვილად ჩნდებიან მასში. ამგვარი თანხმონენების ინფიქსაცია ხშირია ენაში, არა მხოლოდ ზმნებში, არამედ სახელებშიც [„ამორფული თანხმონენებისთვის“ დეტალურად იხ.: ეჯიბაძე 2023: 79-93].

სრულიად სხვა საკითხია ისეთი მდგრადი თანხმონის ინფიქსაცია, როგორიცაა არაბულში *t*. რამდენადაც მახსენდება, VIII თემა მდგრადი თანხმონის ინფიქსირების ერთადერთი შემთხვევაა ენაში. და ამას ახსნა უნდა მოეძებნებოდეს.

მართლაც, პრეკლასიკურ ვარიანტში არ არსებობდა ასეთი ინფიქსური ფორმა. სამაგიეროდ, არსებობდა ფორმა *tafa'al^a*, რომელიც პირველი, ამოსავალი, თემის უკუქცევითობას გადმოსცემდა [Юшманов 2017:24]. ეს პრეკლასიკური ვარიანტი შემოინახეს არაბულმა დიალექტებმა: *itfa'al*. როგორც ზემოთ ვნახეთ, *itfa'al* და *tafa'al^a* ფუნქციურად ტოლფასი ფორმებია. შესაბამისად, პრეკლასიკური *tafa'al^a* და თანამედროვე *itfa'al* ერთი და იგივეა.

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ X თემაში გვექონდა მეტათეზისის შემთხვევა: tašafa'al^a > tasafa'al^a > satafa'al^a / istafa'al^a. ზოგადადაც, მეტათეზისის შემთხვევები არაბულში ცნობილია: mil'aqa^{tu} > ma'laqa^{tu} „კოვზი“, suḥḥafāt^{tu} > suḥalfa^{tu} „უ“ და სხვ. ასეთივე მეტათეზისი უნდა მომხდარიყო tafa'al^a ფორმაში: tafa'al^a > *fata'al^a > ifta'al^a. შესაბამისად, გამოდის, რომ ჩვენი „გამონაკლისი“ მდგრადი t-ს ინფიქსაცია ამოსავალ ვარიანტში სულაც არ არსებობდა, არამედ, გვექონდა არაბულისთვის ჩვეულებრივი სუფიქსური წარმოება უკუქცევითი t- ფორმანტით. ხოლო მეტათეზისმა მოგვცა ინფიქსაციის ილუზიის ეფექტი.

ზემოთ წარმოდგენილ ხმოვნით მოდელთა დაჯგუფებებში VII და VIII თემა ერთად ხვდება: infā'al^a, iftā'al^a. ერთად ხვდებოდნენ ისინი პრეკლასიკურ ვარიანტშიც: nafa'al^a, tafa'al^a და ორივე მათგანი პირველი ამოსავალი თემის უკუქცევითობას გამოხატავდა. კიდევ ერთი თანმხლები საკითხია, რატომ გახდა საჭირო უკუქცევითობის ორი შესატყვისი I თემისთვის, მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენს მხოლოდ თითო უკუქცევითი შესატყვისი შეესაბამებოდა? საქმე ისაა, რომ პირველი თემა ხასიათდება სემანტიკური განფენის ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით; შესაბამისად, მხოლოდ ერთი ტიპის უკუქცევითი ელფერი არ აღმოჩნდა საკმარისი, და მოხდა ფუნქციათა დისტრიბუცია: nafa'al^a – თვითონ, tafa'al^a – თავისთვის [Юшманов 2017:24].

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ა) VIII თემა, რომელიც მდგრადი თანხმოვნის ინფიქსაციის გამონაკლისია სალიტერატურო ენაში, თავისი წარმოშობით პრეფიქსური წარმოებისაა, და ბ) ამ პრეფიქსური წარმოების ვარიანტს ინახავენ არაბული დიალექტები itfa'al თემის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ეჯიბაძე, ნ. (2023). არაბული ენის გრამატიკა. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
 Гранде, Б. М. (1963). Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, Москва: Издательство восточной литературы.
 Юшманов, Н. В. (2017). Грамматика литературного арабского языка, Москва: ЛКИ.

In the morphology of the Arabic language, the system of derivative forms occupies an axial, key position. Depending on the type of production, certain groups can be distinguished.

In more detail:

Different types of vocal models function in the formation of derivative forms, in which the vowels and their order are constant [variation of vowel length is allowed; see: Ejibadze 2023: 236]:

form	perf. act.	perf. pas.	imperf. act.	imperf. pas.
first type				
II	-a-a-	-u-i-	yu-a-i-	yu-a-a-
III	-ā-a-	-ū-i-	yu-ā-i-	yu-ā-a-
IV	a--a-	-u--i-	yu - -i-	yu- -a-
second type				
V	-a-a-a-	-u-u-i-	ya-a-a-a-	yu-a-a-a-
VI	-a-ā-a-	-u-ū-i-	ya-a-ā-a-	yu-a-ā-a-
third type				
VII	i-a-a-	u-u-i-	ya-a-i-	yu-a-a-
VIII	i-a-a-	u-u-i-	u-u-i-	yu-a-a-
IX	i-a-a	u- -i-	ya- -a-	yu- -a-
X	i-a-a	u-u-i-	ya-a-i-	yu-a-a-

But the scheme presented above is one side of production of the forms.

In addition to these models of transfixed character, affixation represented by consonant elements also takes part in the formation of derivative forms. This affixation largely determines the semantic shade of the derivative forms; For conveying this semantic shades, the vowels that may accompany these consonants are not important [Ejibadze 2023: 235], the main semantic load falls on the consonants. These affixes are: formants *t*, *n*, which express reflexivity not only in Arabic, but in Semitic in general [cf. Гранде 1963:137]; formant *s* and its further reduction product *hamza*, which express causal content; All these formants are known since the pre-Classical period and are prefixes.

In more detail:

Forms V and VI are produced by the prefix *t*-, which in the literary language is followed by the vowel *-a-* (*tafa* ‘*al*^a, *tafā* ‘*al*^a), and in dialects is preceded by the vowels *i-* or *e-*, and sometimes is presented without a vowel (*itfaḍḍal/efṭaḍḍal/tfaḍḍal*). All such forms are functionally identical to each other and only differ in sociolinguistic nature. These vowels serve to facilitate pronunciation, the fact that Arabic (Semitic) prefers a word to start with a complex *CV-* or *VC-* (rather than a complex *CC-*).

In the form VII we have the reflexive prefix *n*-, preceded by *i-* (with the same prothetic function): *inkasar*^a “it broke”. By the way, the fact that only the consonant element actually has a content-functional load is also confirmed by the fact that such a vowel always falls (“goes” into *waṣla*) if it is preceded by a vowel: *fa-nkasara* “and it broke”.

In the form X we have two prefixes at the same time: *s-* and *t-*. Of these, *s* is pre-Classical *š* > *s*. In other words, the *istaf’al*^a we know today functioned in the form of *tašafa’al*^a in the pre-Classical Era [Юшманов 2017:24]: *tašafa’al*^a > *tasafa’al*^a; after that, metathesis took place: *tasafa’al*^a > *satafa’al*^a. Since the prefixes *sa-* and *is-* are functionally identical (see above), one of them was established in the literary language with the form *is-*: *istaf’al*^a.

The marker of the form IV is the prefix ‘*a-*’, known to us from the literary language, in which the main consonant element is also the next stage of the reduction of the causal

$\dot{s}$: $\dot{s} > s > h > \text{hamza}$: $\dot{s}afa' al^a > safa' al^a > hafa' al^a > 'afa' al^a > 'af' al^a$ [cf. Юшманов 2017:24].

Forms II and III, as is known, are produced without such formants: by gemination (strengthening; $fa' al^a$) of R_2 and vowel extension of R_1 ($fā' al^a$).

It turns out that all the principal derivative forms which are composed with a consonant formant, are characterized by prefixation, except the form VIII, in which we have the infixation: $if-t-a- ' al^a$.

In General, infixal production is possible in Arabic; This is how forms XII, XIII, XIV and XV are produced: XII– $if'aw' al^a$, XIII– $if'awwal^a$, XIV– $if'anlal^a$, XV– $if'anlā$. In these forms, the consonants w and n appear as infixes.

Here, we should remember that there is one group of consonants in Arabic that can be conditionally called “amorphous” consonants: these are “weak” consonants w , y , as well as $hamza$, n , h . These consonants are easily replaced, easily fall out of the composition of the word or easily appear in it. Infixation of consonants of this type is common in the language, not only in verbs, but also in nouns [for “amorphous consonants” in detail, see: Ejibadze 2023: 79-93].

But it is quite another matter to infix a stable consonant such as t in Arabic. As far as I remember, the form VIII is the only case of infixation of stable consonant in the language. And an explanation should be sought for this.

Indeed, there was no such infixal form in the pre-Classical variant. Instead, there was a form $tafa' al^a$, which represented a reflexivity of the first, initial form [Юшманов 2017:24]. This pre-Classical variant is preserved in the dialects: $itfa' al$. As we have seen above, $itfa' al$ and $tafa' al^a$ are functionally equivalent forms. Therefore, pre-Classical $tafa' al^a$ and modern $itfa' al$ are one and the same.

We have already seen above that in the form X we had a case of metathesis: $tašafa' al^a > tasafa' al^a > satafa' al^a > istaf' al^a$. In general, cases of metathesis are known in Arabic: $mil' aqa^{tun} > ma' laqa^{tun}$ “spoon”, $sulahfāt^{un} > suħalfā^{tun}$ “turtle”, etc. A similar metathesis should have occurred in the form $tafa' al^a$: $tafa' al^a > *fata' al^a > ifta' al^a$. Therefore, it turns out that our “exceptional” infixation of stable t did not exist at all in the source variant, but we had the usual suffix production with the reflexive formant t . And metathesis gave us the effect of the illusion of infixation.

In the above groupings of vocalic patterns, forms VII and VIII appear together: $infā' al^a$, $ifā' al^a$. They also appeared together in the pre-Classical variant: $nafa' al^a$, $tafa' al^a$, and both expressed the reflexivity of the first initial form. Another related question is: why form I required two reflexive correspondencies. The greatest diversity of semantic distribution is characteristic of form I; accordingly, only one type of reflexive shade appeared not sufficient, and the functions were distributed: $nafa' al^a$ – himself, $tafa' al^a$ – for himself [Юшманов 2017:24].

Finally, we can conclude, that a) the form VIII, which represents an exception of an infixation of a stable consonant in the literary language, is prefixation by its origin, and b) this variant of prefixal production has been preserved in Arabic dialects in the form of $itfa' al$.